№ 255 ნოემბერი 30, პარასკევი 1890 ნოემბერი 30, პარასკევი № 255


გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | ? | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას გუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი ვა კაპეიკი.

1877—1890 სალიტერატურო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890



მეგობარნი და პატივისმცემელნი განსვენებულის ქნ. **ელენე დიმიტრის ასულის ლორთქიფანიძისა** სთხოვენ ნაცნობთ მობრძანდნენ კვირას, 2 დეკემბერს, დილის 12 საათზედ, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, სადაც გარდახდილ იქმნება პანაშვიდი გარდაცვალებულის სულის მოსახსენებლად, (3—1)



## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც სურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის, მიმართოს:**

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთაშორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

**ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:**

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაკვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.



## „დასავლეთი"

ახალი რესტორანი, კვრაზე, მეზურნეთოვის სახლებში, ფოსტის სადგომის გვერდით.

რესტორანის სადგომი ახლად შეკეთებულია და თბილი. საჭმელები ევროპიული და ჩვენებური; საუკეთესო ბუფეტია. სასმელები ევროპიული და ჩვენებური.

სადილები დღიურად და თვიურად შეიძლება თვითონ რესტორანში მიიღონ ან ბინაზე, შინ სახლში, წაიღონ. რესტორანში ცალკე ოთახებიცაა, მშვენივრად მორთული და მოწყობილი.

ფასები ყველაფრისა იაფია.

თავმდები ვართ, რომ ხორაგეული სუფთაა და ბუფეტი უნაკლულო.

(40—11)

ნ. ჩიკვაიძე და
ს. მელიძგაური



ქართველთა ამხანაგობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ დანიშნულია ორი პრემია საუკეთესო ისტორიულ მოთხრობისათვის, რომელიც სივრცით უნდა იყოს: პირველი არა ნაკლებ 10 ბეჭდურ თაბახისა და მეორე—5 ბეჭდურის თაბახისა. პირველ პრემიად დანიშნულია 200 მან., ხოლო მეორედ 100 მან. პრემიით დაჯილდოებულს მოთხრობას ამხანაგობა გამოსცემს არა უმეტეს 1200 ეგზემპლიარისა, რომლის გაყიდვას შემდეგ ავტორს ეძლევა ყოველივე უფლება საკუთრებისა. მოთხრობის დასაფასებლად წაკითხვის დროს მოწვეულნი იქმნებიან ჩვენი საუკეთესო მწერალნი. მოთხრობანი წარმოდგენილნი უნდა იქმნან ნოემბრი 1-მდე 1891 წ. მოთხრობასთან ერთად უნდა გამოიგზავნოს გვარი და ადრესი ავტორისა დაბეჭდილს კონვერტში. ადრესი ქალაქს გარედ მყოფთათვის: Правленію Грузинскаго Издательскаго Товарищества. Тифлисъ.

(10—10)


## ახალი ამბავი

*** ჩვენმა ტფილისის გამგეობამ ამ ქამად გადასცა საფინანსო კომისიას ხარჯთ აღრიცხვა სამერმისო 1891 წლისა. ამ ხარჯთ-აღრიცხვიდგან სჩანს, რომ ჩვენის ქალაქის გამგეობა მერმის შემოსავალს მოელის 716,727 მანეთს და ამავე დროს ხარჯი ექმნება 725,873 მანეთი ე. ი. დამდეგ წელს ქალაქს ექნება მარტო 9,146 მან. დეფიციტი. წელს-კი, როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ქალაქს 43 000 მანეთამდე ჰქონდა დეფიციტი.

*** შაბათს, დეკემბრის 1, საღამოს $7^1/_2$ საათზე, დანიშნულია საგანგებო კრება წევრთა ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოებისა. კრება განიხილავს პეტერბურგში საზოგადოების მხრით დელეგატის გაგზავნის საქმეს.

*** ამიერ კავკასიის რკინის-გზის კონტროლი ეხლა ჰნიშნავს ხოლმე ყოველს მატარებელზე თავისს მოხელეებს, რომელნიც მატარებლებს მისდევენ ბაქო-ბათუმამდე, გზაზე რამდენჯერმე სინჯავენ მგზავრების ბილეთებს, რათა ობერ-კონდუქტორებმა უბილეთოდ არ წაიყვანონ მგზავრებიო.

*** ტფილისის დედათა გიმნაზიის უფროსად სამზრუნველო საბჭოს დედათა გიმნაზიებისასა და პროგიმნაზიებისას გარდაცვალებულის ე. ე. მიტრიდატოვის ქალის მაგიერ დაუნიშნავს მ. თ. გორშკოვის ქალი, რომელიც ამავე გიმნაზიაში იყო მასწავლებლად და რომელსაც კურსი გაუთავებია იაროსლავის დედათა გიმნაზიაში და უსწავლია შემდეგ დედათა მაღალს კურსებზე პეტერბურგს.

*** ამ ქამად ტფილისში იმყოფება სტუმრად შტაბის აფ ცერი ბ-ნი გრომბჩევსკი, რომელმაც მოიარა შუააზია, საპელდობრ კაშგარია და დასავლეთი ნაწილი ჩინეთისა და ჩვენს ქალაქში გზად გამოიარა. გრომბჩევსკი პეტერბურგს მიდის და თან მიაქვს მეცნიერებისათვის ბევრი რამ საინტერესო მასალა, მგზავრობაში მოგროვილი..

*** დღეს, 30 ნოემბერს, წირვას შემდეგ დანიშნულია ტფილისის სასულიერო სემინარიის წლიური აქტი, რომელზედაც იქმნება გალობა სასულიერო საგალობლებისა, კითხვა ლექსებისა, თქმა საერო ხმებისა, ანუ სიმღერებისა, დარიგება ჯილდოებისა და სხვ. მამა რექტორი სემინარიისა არხიმანდრიტი ნიკოლოზი წაიკითხავს მოკლე ანგარიშს სემინარიის მდგომარეობის შესახებ ბ-ნი ალბოვი წარმოსთქვამს სიტყვას: Психическая жизнъ М. Ю. Лермонтова. დასასრულ შეგირდები იტყვიან რუსულს საერო საგალობელს: „ღმერთო ჰფარვიდე მეფესა".

*** შაბათს, 8 დეკემბერს, ტფილისის თეატრში დანიშნულია წარმოსადგენად ოპერეტი მადამ ბონიფასი და „ტრუბადური", ოპერა ოთხ მოქმედებად, მუსიკა ვერდისა. შემოსავალი წარმოდგენისა დანიშნულია „მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოების" სასარგებლოდ. ოპერაში მიიღებენ მონაწილეობას: ფლაშავანდერიკის ქალი, პაპოვისა, ბ-ნნი კოშიცი, საკალოვი და გორდი. ოპერეტში—ლასალის ქალი და სხვ. ბილეთების ყიდვა წინდაწინვე შეიძლება „საზოგადოების" კანტორაში კალოუბნის ეკლესიის გვერდზე, კალოუბნელისავე სახლებში.

*** ჩვენ მოგვივიდა ციმბირიდამ ერთის იქ მყოფის ქართველისაგან სამი მანათი წინამძღვრიანთ-კარის სკოლის სასარგებლოდ და სამი მანათიც განსვენებულ დიმიტრი ბაქრაძის ფონდისათვის. ამ ფონდისა იყო დღემდე 1210 მან. 37 კაპ. ამიანათ შესდგა სულ 1213 მან. 37 კაპ.

*** ჩვენ მივიღეთ მესამე და მეოთხე წიგნი თომა კემპელის თხზულებისა: „მიბაძვა ქრისტესი", თარგმნილი ქართულად ლათინურიდამ პ. ა. მღებრიშვილის მიერ. ეს წიგნიც, როგორც პირველი და მეორეც, დაბეჭდილია გორის სტამბაში და მეტად სუფთადა და შნოიანადაც არის დაბეჭდილი. მთარგმნელს ყოველი ღონის-ძიება უხმარნია, რომ მის თარგმანში კანონიერი ქართული ენა ყოფილიყო.

## ფელეტონი

### ხალხის გმირი

დათუკა ქვეპირიშვილი

(ერთი უბედური შემთხვევა მეფე ერეკლეს დროინდელი).

კახეთის მეფემ ერეკლემ და მამამ მისმა, ქართლის მეფე თეიმურაზმა დიდად ისახელეს თავი, მით რომ გააერთეს მანამდის განცალკევებული ქართლ-კახეთი, თათრები განდევნეს საქართველოს საზღვრებიდამ და სრულიად მოსპეს სპარსეთის ბატონობა ჩვენს ქვეყანაში. ორთა მეფეთა-მამაშვილთ ერთპირიანმა მოქმედებამ, მამის პოლიტიკურმა ჭკუამ და შვილის საკვირველმა მხედართ-მთავრულმა ნიჭმა და გასაოცარმა მხნეობამ იმდენად გასჭრა, რომ 1751 წელს აღმოსავლეთი საქართველო უკვე შეადგენდა ძლიერს სამეფოს. ამ დროს საქართველოს ემორჩილებოდა ყაზახ-ბორჩალო, განჯა, ერევანი, ყარაბაღი; შუშა და შემახიაც ერეკლე მეფის შიშს ქვეშ იყო და მტრობას ვერ უბედავდა. უმეტესი ნაწილი თათრების ხანებისა ჩვენს მეფეებს ხარკს აძლევდნენ.

ძლიერებამ ერეკლესამ იქამდე მიაღწია, რომ ყიზილბაშებს ეშინოდათ, ვაი თუ „ერეკლე-ხანმა" სპარსეთი დაიპყროსო. ეს მით უფრო საფიქრებელი იყო, რომ განთქმული ძლიერებით აზატხანი ადერბეიჯანისა, რომელიც „საყვენოდ ემზადებოდა", ე. ი. სპარსეთის შაჰობას ეძებდა, იმავ 1751 წელს ერეკლემ ერთის მუჭა ჯარით სრულიად დაამარცხა და ყულთანი დამართა ერევნის ახლოს. სპარსელების შიშს ჭეშმარიტი საბუთიც მიეცა: იმავ 1751 წელს, აზატ-ხანის დამარცხებას შემდეგ, ერეკლემ თავისს ქორწილში მოიწვია ზემოხსენებული თვისი ხელ-ქვეითი ხანები (ერეკლემ ამ წელს შეირთო მეორე ცოლი დარეჯან კაცია დადიანის ასული), და ამ ქორწილზე ხანებმა და ერეკლემ დაასკვნეს ადერბეიჯანის დამორჩილება და სპარსეთში გალაშქრება.

მაგრამ, სანამ ეს აზრი განხორციელდებოდა, ორთავ მეფეთ-მამაშვილთ ეწვიათ საშინელი ბედის უკუღმართობა: სპარს-ლეკ-ოსმალთაგან უძლეველნი იძლივნენ მარცხად ერთის უძლურის ხანისაგან. ეს ხანი გახლდათ ერეკლეს ხელ-ქვეითი აჯიჩალაბი, ბატონი ნუხისა და შაქისა, კაცი მეტად ცბიერი, ხერხიანი და მოღალატე.

რაკი ხანები ხელ-ქვეით ჰყავნდა და სხვა არავისი შიში არა ჰქონდა, ერეკლეს მარჯვე დრო მიეცა მოესპო სრულიად უმთავრესი ძალა ლეკებისა—ჭარელები.

ჭარს ერქვა უწინ ფიფინეთი; ჭარელები ძველად ქართველები იყვნენ და ქრისტიანენი ჭარ-ბელაქანის ეპარხიისა, მაგრამ შემდეგ გალეკდნენ და თათრის სჯული დაიჭირეს. როდესაც წარსულს საუკუნეში ლეკები გაძლიერდნენ და რბევა დაუწყეს საქართველოს, ჭარელები ხელს უწყობდნენ ამ ჩვენის ქვეყნის მოსისხლე, დაუძინებელს უწყალო უზნეო მტერს: უპადგურობდნენ, უმასპინძლდებოდნენ, ბელადობდნენ, ე. ი. გზებს უჩვენებდნენ და მათის ძარცვა-ტაციობის მონაწილენიც იყვნენ. ჭარი ბუდედ გადაიქცა ავაზაკებისა—„წუნკალ-ლეკებისა", რომელნიც დღისით ვით ჯაბანის წესია, ტყეში იმალებოდნენ, როგორც მტაცებელი მხეცები და ღამით-კი ქურდულად დაესხმოდნენ ქართლ-კახეთის სოფლებს, სტყვევნიდენ და იკლებდნენ ქვეყანას.

რაკი ქართლ-კახეთის მეფეებმა ხანები დაიმორჩილეს, ჭარშიც გაბატონება დაასკვნეს და იქ სიმაგრის აგება ლეკების ასალაგმავად და ორნივ—მამაშვილნი მეფენი დიდ-ძალის ჯარით აიყარნენ სალაშქროდ. იორზე რომ მივიდნენ, შემოეყარათ დაბარებული ხანები, შუშისა, ყარაბაღისა, ყაზახ-ბორჩალოელნი თათრის ჯარებითა და თვით აჯიჩალაბი თავისის მხედრობით. ეს ამოდენა ჯარი ქიზიყს მივიდა და რადგან ალაზანი ადიდებულ იყო, ხიდი გასდეს ფადარში და ლაშქარი ჭარზე მივიდა. თოფყარაღაჩში მისულთ მეფეთა მოერთო დაბარებული განჯის ხანიცა თავისის ხელ-ქვეითის ჯარით. მრისხანე მხედრობა დაბანაკდა ჭარს ახლო. სულ-დღე უდგებოდათ ჭარელებს. შეშინდა ჭარი; ხვეწნა დაუწყეს მეფეებს და შერიგება სთხოვეს. მეფეებმა სასტიკი პირობანი დაუდვეს: ყველა სიმაგრის დათმობა, სრული მორჩილება, ამანათები და ბეგარა. ჭარელებმა ზოგი ერთი პირობანი უარჰყვეს და შერიგება ვერ მოხდა. მაშინ ჭარელებმა ქართველთ ჯარში მყოფს აჯიჩალაბს სთხოვეს მეფესთან შუამდგომლობა და მორიგების ჩამოგდება. აჯიჩალაბის შუამდგომლობამაც ვერ გასჭრა, რადგან მეფენი თავისს პირობაზე მტკიცედ იდგნენ და ჭარელთ-კი ზოგიერთი მუხლი შერიგებისა ემძიმებოდათ.

ამასობაში დიდი ხანი გავიდა, ჭარელები განგებ აგრძელებდნენ მოლაპარაკებას, უნდოდათ დრო ეშოვათ და სხვა თადარიგი დაეჭირათ: ცოლშვილი აჰყარეს და გახიზნეს, სიმაგრეებში შევიდნენ, საომრად მოემზადნენ, ლეკები დაიბარეს, გაიფიცნენ, ერთგულობაზე შეჰფიცეს ერთმანეთს და აჯიჩალაბის გადაბირებას შეუდგნენ და კო-

ფილიყო და მით ცოტად თუ ბევრად შესაბამი ორიგინალის ენისა. ამ ოთხის წიგნის თარგმანზე, როგორც სჩანს წინასიტყვაობიდამ, თითქმის ხუთი-ექვსი წელიწადი უშრომნია მთარგმნელს, ლათინურის დედნის გასაგებად მოუხმარნია ფრანგული და რუსული თარგმანიც, ქართულის მწერლობისათვისაც მიუმართავს ენის უკეთ შესასწავლად და ბოლოს ხელ-ნაწერი უკეთებია გორის სასტატო სემინარიის ქართულის ენის მასწავლებელს ბ-ნ ნ. ლომაურთან ერთად და ყოველს ამას შემდეგ მიუცია სტამბაში დასაბეჭდად ჯერ პირველი ორი წიგნი და შემდეგ მესამე და მეოთხეც, რომელიც დღეს მოგვივიდა რედაქციაში. მართლაც ენა თარგმანისა, როგორც ეტყობა ერთის თვალის გადავლებით, საკმაოდ წმინდა და კანონიერი ქართულია. თომა კამფელის შესანიშნავის თხზულების თარგმნა ქართულად მცირე შემატება არ არის ჩვენის სღვთის-მეტყველო მწერლობისათვის, რომლის სიღარიბე აიხსნება რასაკვირველია, უფრო ჩვენის სამღვდელოების უზრუნველობითა და უხალისობით. გორის კათოლიკეთა მღვდლის მ. მღებრიშვილის ღვაწლი ამ მხრით საგულისხმიერო მაგალითი უნდა იყოს ჩვენის მღვდლებისათვისაც, რომელთა განსაკუთრებულს ყურადღებას მივაქცევთ ამ ქართულს თარგმანს სახელოვანის ღვთის მეტყველ მწერალის თომა კემფელის თხზულებისას.

*** სურამი: 27-ს ნოემბერს ღამით გაუტეხეს სახლი დავით აბაზაძესა და, რაც-კი რამ მოემეტებოდა სახლში, ლოგინი, ტანისამოსი, სულ გაუზიდნიათ ქურდებს.

*** 9 დეკემბერს, როგორც შეუტყვია გაზ. „Нов. Обоз.“-ეს დანიშნულია „ტფილისის საბრანიის“ დარბაზში ბალი „სომეხთა დედათა საქველ მოქმედო საზოგადოების“ სასარგებლოდ.

*** სიღნაღიდგან სწერენ გაზ. „Нов. Обоз.“-ეს, რომ ჩვენი მაზრა მეტად შეაწუხეს მულანლოელმა თათრებმა და ბევრის ჩობნებმაო. ამ კვირის თათრები დაეცნენ ერთს მაღაროელის ფარეხს და სამი კამეჩი გაიტაცესო. პატრონი გამოეკიდა ავაზაკებს, მაგრამ კამეჩების მაგიერ, მათი ტყავები-ღა იპოვნა. იქვე იპოვნა ტყავები ხარებისა, რომელიც თათრებმა ტფილისში მიმავალს აისორებს წაართვეს. ერთს ქოდალოელს ცხენის ჯოგიდგან 8 ცხენი მოსტაცეს და წაასხეს თათრებში. 25 ნოემბერს თათრებმა ბოდბეს ახლოს ჰნახეს ჯოგი ცხენებისა, მწყემსი შეიპყრეს, ჯოგიდამ 6 ცხენი ამოირჩიეს და გაიტაცეს.

*** სომხურს ჟურნალ „არარატში“ დაბეჭდილია ანგარიში ეჩმიაძინის აკადემიის არსებობისა ამ 16 წლის განმავლობაში. 1889—1890 სასწავლო წლის განმავლობაში აკადემიაში ყოფილა სულ 117 კაცი შეგირდი. წელს გაუთავებია კურსი 8 კაცს.

*** „მშაკში“ იწერებიან ოდესიდამ იქაურ უნივერსიტეტის ამბავს. მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი კორში ოდესის უნივერსიტეტის ფილოლოგიის განყოფილებაში გადმოვიდა და პირველი ლექცია ჰქონდა ნოემბრის 2-სა. საკითხავზე დაესწრნენ რექტორი, პროფესორები და მრავალი მსმენელი. პროფესორმა სთქვა მიზეზი, რომლისა გამოც ოდესა აირჩია თავის ლექციების საკითხავად. ეს ქალაქი მრავალის ტომის მიწა არისო და სამეცნიერო მუშაობაში ოდესას შეუძლია თავი გამოიჩინოს ფილოლოგიურის და ეთნოგრაფიულის გამოკვლევითაო. ყურადღება მიაქცია სხვათა შორის უსლარის შრომასა და სთქვა, აქ კავკასიის ორის ხალხის შვილნი ქართველნი და სომეხნიც იპოვებიან. მათ აქვთ საკუთარი მწერლობა, რომელთა შესახებ ევროპის მეცნიერთა ბევრი უწერიათ, ხოლო რუსულს ენაზე-კი არა მოიპოვება-რა. ოდესის ქართველ და სომეხ სტუდენტების შემწეობით რუს ფილოლოგებს შეუძლიანთ მრავალი შესამატი შეჰმატონ ენათა ცოდნის მეცნიერებასაო. „მშაკის“ კორესპონდენტი უმატებს, კეთილი საქმეაო, მაგრამ, მაგარი ესაა, რომ ქართველმა და სომეხმა სტუდენტობამ ისე არა იცის-რა თავისის დედა-ენისა, მწერლობისა, ისტორიისა, გრამატიკისა, როგორ ჩინეთისაო. ჩვენი ეხლანდელი სტუდენტობა სრულიად უმეცარია იქამდის, რომ უბრალო ლაპარაკსაც-კი ვერ ახერხებს. იქნება თვით პროფესორმა წიგნების კითხვით მეტი იცოდეს სომხურის, და ქართულის ენისა, ისტორიისა და მწერლობისა, ვიდრე, იმათ, ვისიც იმედი აქვს პატივცემულ კორშსა. სამწუხაროა, თუ მართალია, სომხურ გაზეთის სიტყვა.

*** 27 ამ თვისას, ღამის 11 საათზე, პოლიციელმა ვალენტი ფლორეცკიმ ყარაულობის დროს ნიკოლოზის ქუჩაზე დაინახა, რომ ვიღაცას გამოკრული ბოღჩა მიჰქონდა, გამოუდგა უკან, მაგრამ უცნობი გაიქცა, ბოღჩა-კი გზაში დააგდო. ბოღჩაში აღმოჩნდა ახალი, ხუთ ადლიანი ხალიჩა და ერთიც ნახმარი პალტო.

*** 28 ნოემბერს მიხეილის ქუჩაზე პოლიციელმა ნიკიტა ერემენკომ შეიპყრა ჯარის კაცი პანტელეიმონ ბარანნიკოვი, რომელსაც ფელდფებელის ანტონისაგან მოპარული ტანისამოსი მიჰქონდა.

*** ქვრივმა ნინა ტერ-სააკოვისამ, რომელიც ვაგზალთან სცხოვრებს გამოაცხადა, რომ 18 ამ თვისას ჩემმა ძმამ ტიგრან არინჯანოვმა წაიღო გასასყიდად 50 მან. ღირებული ჩემი ვერცხლის ხანჯალი და ვერცხლისავე ქამარი და სადღაც დაიმალა. არინჯანოვს დაეძებენ.

## დასაფლავება ელენე დიმიტრის ასულის ლორთქიფანიძისა ქუთაისში

(წერილი ქუთაისიდამ)

წლევანდელი წელიწადი მეტად შეუბრალებელი და დაუნდობელი გამოდგა. არ გვაკმარა ერთისა და ორის საუკეთესო მამულიშვილის სიკვდილი და ამ მიწურულში გამოასალმა წუთი-სოფელს ყველასგან ცნობილი და პატივცემული ადამიანი—ელენე დიმიტრის ასული ლორთქიფანიძისა, ცნობილი და პატივცემული, ვითარცა მხნე და მედგარი მოღვაწე სამწერლო თუ საზოგადო ასპარეზზე და სამაგალითო ადამიანი გონიერობით, ხასიათით და სათნოებით. რა თქმა უნდა, რომ ამ გვარის ადამიანის გარდაცვალებამ ყველას გული დიგვწყვიტა, ყველას გვაგრძნობინა, თუ რა გულ-შემატკივარი მხნე და პატიოსანი წევრი დაჰკარგა ჩვენმა საზოგადოებამ, რომლის სამსახურს და სიყვარულს მოანდომა განსვენებულმა თავისი ხან-მოკლე სიცოცხლე.

მას აქეთ, რაც ხმა გავარდა, რომ ელენე ლორთქიფანიძისა მძიმედ ავად არისო, ყველას გული შესტკიოდა და ყველა იმისს ამბავს ჰკითხულობდა. რაც დრო და ხანი მიდიოდა, მით უფრო ვშიშობდით და ამ თვის 23, საღამოს ჟამს, გავრცელდა საზარელი ხმა, რომ ელენე დიმიტრის ასული გარდაიცვალაო.

ამ ადამიანის სიკვდილმა, როგორც ზემოდ ვსთქვით, ყველას გული დაგვსწყვიტა, და ჩვენმა საზოგადოებამ, რადგანაც დრო და ჟამი ხელს უწყობდა, პატივი სცა განსვენებულს. მრავალმა ნაცნობმა, ნათესავმა და პატივისმცემელმა განსვენებულისამ ვერ მოასწრო ქუთაისში ჩამოსვლა და გამოსვენებაზე დასწრება; მაგრამ მაინც დიდ-ძალი ხალხი მოგროვდა ყველა ტომისა და წოდებისა. ჯერ დილის ცხრა საათი არ იყო, როცა თავ. ა. ნ. ლორთქიფანიძის სადგომთან დიდ-ძალმა ქალმა და კაცმა მოიყარა თავი. პანაშვიდი გადიხადა ეპისკოპოზმა გაბრიელმა. თერთმეტის ნახევარი იქნებოდა, როცა კუბო წაასვენეს ქუთაისის საკათედრო ტაძარში. კუბოს სახურავი და თვით კუბო დაფნის გვირგვინებით დაფარული, გამოასვენეს ჩვენმა მანდილოსნებმა. ქუჩა ხალხით იყო გაჭედილი. ტაძარში მწირველი ბრძანდებოდა გაბრიელ ეპისკოპოზი. ტაძარი და ტაძრის მოედანი ხალხით იყო სავსე. ნაწირევს გაასვენეს წმ. გიორგის ეკკლესიისაკენ, გორაზე, და ნაშუადღევის პირველი საათი იყო, როცა განსვენებულის კუბო საფლავში ჩაუშვეს, თვით ეკკლესიაში. საფლავზე ბ-ნმა სილოვან ხუნდაძემ შემდეგი ლექსი წაიკითხა:

> კის არ უსველებს ღაწვსა ცრემლები,
> ვის არ უმძრწუნავს სული და გული,
> როს ხედავს, რომე ჩვენს ღარიბს ხალხსა
> აკლდება წევრი ქველი, ერთგული?!
> ბოროტი კაცნი იჩენენ თავსა,
> რყვნიან, ბილწავენ მთელს ერს, მთელს მხარეს...
> და ამ დროს კიდევ ბედი უწყალო
> ხალხ-ის ერთგულს შვილს უთხრის სამარეს!..
> სამარეს უთხრის... მაგრამ იცოდეს,
> ვინც ქვეყნის მტერი და ორგულია,
> რომ თვითონ იგი, მტერი ქვეყნისა,
> თვით სიცოცხლითვე დამარხულია.
> და ის კი, ვისაც ქვეყანა უყვარს,
> პატიოსანი ვინც არის ცამდე,—
> მის სახე მარად ქვეყნად იქნება,
> ის მკვდარიც ცოცხლობს უკუნისამდე!
> ადამიანო! ამას მოხამე,
> მასავით იყავ სათნო და ქველი,
> თუ გსურს—ცოცხალიც ყველას უყვარდე,
> მკვდარსაც გადგქვიონ ცრემლები წრფელი.

განსვენებულის კუბოს ამკობდა თორმეტი გვირგვინი; ამათში ცხრაზე შემდეგი წარწერანი ამოვიკითხეთ:

ა) ძვირფასს ადამიანს ელენე დიმიტრის ასულის ღრმად პატივმცემელთაგან.

ბ) დაუვიწყარ ქართველ ქალს ელენე დიმიტრის ასულს ქუთაისის ქართულ თეატრის დასისაგან.

გ) პატიოსანს საზოგადო მოღვაწეს ელენე ლორთქიფანიძისას ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მოსამსახურეთაგან.

დ) გულ-შემატკივარს მზრუნველს ელენე ლორთქიფანიძისას ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლისაგან.

ე) ელენე დიმიტრის ასულს ლორთქიფანიძისას ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მზრუნველობის წევრთაგან.

ვ) ჭირში და ლხინში ჩვენთან მყოფს ელენე ლორთქიფანიძისას. მის მეგობარ ქალებისაგან.

ზ) სენაკის სათავად-აზნაურო სკოლისაგან დაუვიწყარს მზრუნველს ელენე ლორთქიფანიძისას.

ჰ) ელენე დიმიტრის ასულს ლორთქიფანიძისას ლორთქიფანიძის ქალებისაგან

> დღე ყოველ, ჟამი ყოველი
> გვაკლებს რასამე კეთილსა.

თ) „ივერიის“ რედაქციისაგან ელენე დიმიტრის ასულს ლორთქიფანიძისას.

ამ გვირგვინებს გარდა კიდევ იყო სამი უწარწეროდ; ერთი ამათგანი მეტის-მეტად სადა, მაგრამ ბევრის მეტყველი, მოეტანათ ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის მოწაფეებს, რომელთა სასიკეთოდ განსვენებული თავდადებით იღვწოდა.

თუ რამდენად პატივცემული იყო განსვენებული ელენე და რამდენად გული დასწვა იმისმა უდროოდ გარდაცვალებამ ყველას, ვინც-კი იცნობდა განსვენებულს, ამას ის გარემოება გვიმტკიცებს, რომ თ. ა. ნ. ლორთქიფანიძეს ერთის დღის განმავლობაში ორმოც-და-ათამდე სამძიმრის დეპეშა მოუვიდა სხვა-და-სხვა კუთხიდგან, სადაც კი ელენეს გარდაცვალების ამბავს მიუღწევია, სამძიმარს უცხადებენ დეპეშით არა მარტო ნათესავნი და ნაცნობნი, არამედ სხვა-და-სხვა საზოგადო დაწესებულებანი და სხვა-და-სხვა ცნობილი და წარჩინებული საზოგადო მოღვაწენი: სხვათა შორის დეპეშით მიუსამძიმრეს ბ-ნმა კონსტანტინე მამაცაშვილმა, თ. ე. წერეთელმა, ქუთაისის გუბერნიის მარშალმა, ბ-ნმა სულხანიშვილმა, გორის მაზრის მარშალმა, ანასტასია თუმანოვისამ ჯეჯილის რედაქტორმა, გიორგი და ვასილ თუ-

---

დეც გადაიბირეს. აჯიჩალაბიმ ერთი პირი დაიჭირა ჭარელებთან და განიზრახა დამხობა ორივ მეფისა და სრულიად მოწყვეტა ქართველთ მხედრობისა. ამისთვის თვალთმაქცი ხანი „ეზრახა იდუმალ მეფეთა თანა მყოფთა ხანებთა“, „გარდამოიბირნა ესე ხანები.“ თათრის ხანებმა ჩუმად დაასკვნეს ის ბარბაროსული ხერხი ქართველთ ლაშქრობის ამოწყვეტისა, რომელიც მხოლოდ შემდეგ მოულოდნელად გამომჟღავნდა. ხანები შურის თვალით უყურებდნენ ქართველების გაძლიერებას და გაბატონებას თათრების ქვეყნებში და ადვილად დაჰყვნენ აჯიჩალაბის ღალატობას.

რაკი მოეწყო საქმე თვით ერეკლეს ბანაკში, მოღალატე ხანი ღამით გაიპარა ქართველთ ბანაკიდამ, შემოიფიცა ჭარელები ერთგულობასა და მორჩილებაზე, მიიმხრო კაკის სულთანი, შეიფიცა დიდძალი ლეკის ჯარი, ჭარელთ საშველად ჩამოსული, გააწყო მხედრობა. ქვეითი ჯარი აქა-იქ დამალა მოხერხებულ მაგარს საფრებში, თვითონ-კი ცხენოსანის ჯარით აღგილას დადგა, რამდენიმე სანგალი გაიკეთა და შეჰთუთვალა ერეკლეს: „თუ ჩამოეცლებით ჭარელთ ხომ კარგიო, თუ არა და მე ჩემის ქვეყნით მაგათთან ამოვსწყდებიო.“ ეს მუქარით გამოთხოვება დიდად იწყინეს მეფეთა, მაშინვე მოაშლევინეს ხიდი ალაზნისა, რომ უკან გაბრუნება გაუმარჯვებლად არავის განეზრახა, აიყარნენ და აჯიჩალაბის ქვეყანაში შევიდნენ და დადგნენ აჯიჩალაბის გამაგრებულ სახელბის პირდაპირ. მეორე დღეს, 1751 წელს, 28 თებერვალს, ორშაბათს დილაზე მეფემ თავისი ჯარი ოთხად გაჰყო: მეწინავე ჯარს უთავა განთქმული ვაჟკაცი რევაზ ორბელიშვილი, საბარათაშვილოს-სადროშო ჯარით და სახელოვანი მხედართ-მთავარი ქიზიყის მოურავი თამაზ ბარათაშვილი—ქიზიყის ჯარით; მემარჯვენედ საამილახვარო დროშა გააჩინეს, მემარცხენედ—საერისთავო დროშა, რომელშიაც ბევრი ერია თათრების ჯარიც. შუა ჯარს თვით ერეკლე გაუძღვა, ხოლო უკანა დასტას, რომლის უმეტესობას ხანების მხედრობა შეადგენდა, ბრძანებლობდა თვით მოხუცი მეფე პოეტი თეიმურაზ. როგორ დაუდგებოდა ამ გამოცდილსა და ომის მწყურვალე მხედრობას უძლური აჯიჩალაბი? ამ მრისხანე მხედრობის წინ ვერ ვინებ შეკრთებოდა ბ შედრკებოდა თვით ყარსი და სერასკირი ათი-ათასი წვრთნილი ლაშქარი. დაჰკრეს ბუკ-ნაღარა. დაიწყო ომი. მეწინავე ჯარი შიგ შეუვარდა სიმაგრეებში აჯიჩალაბის ცხენოსან ჯარს, მას მიჰყვა შუა ჯარი, გაგმირებული ერეკლეს ძლიერის სულით, დაიძრა მემარცხენე და მემარჯვენე ფრთაც. ბევრი არ ახანეს, გაიქცა ლეკი და ბანაკი აჯიჩალაბისა, ორი დიდი გამაგრებული სანგალი გაავდებინეს მტერს. ერეკლე მეწინავე ჯარში გავიდა და მიჰყავს გალომებული ვაჟკაცები მესამე სანგალზე, აგერ მიუახლოვდა კიდეც, მაგრამ ამ დროს გამოჩნდა მუხანათობა, გამჟღავნდა საძაგელი ღალატი თათრებისა: უეცრად გამოვიდა საფრებიდგან დამალული ქვეითი ჯარი მტრისა და შეუტია მემარცხენე საერისთაო დროშას, რომელშიაც ბევრი ერია თათრობა. იმავ წამს მობრუნდა გაქცეული აჯიჩალაბი და შეუტია ხანების დასტას მარჯვნივ. რაც თათრობა ერია, ერთიანად იმ წამსვე უომრად უკან დაბრუნდა „განზრახვით შეთქმულნი, ღალატობით გამოიქცნენ პირობისაებრ და თვისს ქვეყანაში წავიდნენ მშვიდობით.“ გაქცეული თათრობა ეცა მემარჯვენე ფრთას, არივ-დარია დასტები. მემარცხენე ჯარიც, რაკი მოაკლდა უომროდ გაქცეული თათრობა, შედრკა, გამოიქცა და ეცა მემარჯვენეს. რაკი ესენი გამოქცეული ნახეს, შედრკა მემარჯვენეცა. ეს დიდი ჯარი ერთმანეთს მიეხალა, ერთ-ურთს შეეჯახა, მოისპო დასტობა, მოიშალა საომარი რიგი და წყობილება, განდრკა ერთიანად ჯარი და ზურგი უჩვენა მტერს. პირველად იძლია უძლეველი დროშა ერეკლესი. გაავთრებული მეფე წინა ჯარში ბრძანდებოდა, ამხნევებდა, აყენებდა ჯარს თუ რისხვით, თუ წყალობის აღთქმით, თუ ხვეწნით და შერცხვენით, თუ გასაოცარის პირადის მხნეობით და უშიშრობით; ეგრეთვე მეფე თეიმურაზიც; მაგრამ ამაოდ. ვერ შეაყენეს ჯარი, გამოიქცა განთქმული მხედრობა, ვერსად შემაგრდა, ყოველივე საომარი მომზადებულობა ჯორ-აქლემებზე აკიდებული, სამხედრო კარვები და ბარგი მტერს დარჩა. ყველაზე უკან გამოიქცა მეწინავე ჯარი, რომელშიაც ბრძანდებოდა ერეკლე და ამის გამოეს ჯარი გალაღებულის მტრის პირდაპირ დარჩა; ლეკ-ჭარელ-ნუხელების ხმლები უწყალოდ ჰმუსრავდა ქართველ ვაჟკაცებს რომელნიც მოჰყავდა

მანოეებმა, მარიამ ვახტანგის ასულმა ორბელიანისამ, ანტონ ფურცელაძემ, ნ. ცხვედაძემ, ეფროსინე და ალექსი ჭიჭინაძეებმა, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასწავლებლის მასწავლებლებმა; გორიდგან: ლომაურმა, ფავლენიშვილმა, დეკანოზოვმა და მგალობლიშვილმა; ნატალია და ასიკო ცაგარელმა, თავ. ვასილ და ნინა მაჩაბლებმა და მრავალმა სხვამ.

დასასრულ უნდა მოვიხსენიოთ, რომ წინა დღით პანაშვიდი გადაიხადეს განსვენებულის ელენეს მოსახსენებლად აქაურს სათავად აზნაურო სკოლაში. ინსპექტორმა ბ-ნმა ე. ყიფიანმა მოკლე სიტყვით მიჰმართა ყმაწვილებს და აუხსნა, თუ რა ადამიანი დააკლდა სასწავლებელს; თქვენთვის მზრუნველი და გულ-შემატკივარი იყო განსვენებული, დაასრულა ბ-ნმა ყიფიანმა თვისი სიტყვა, და ილოცეთ და ევედრეთ უფალსა, რომ საუკუნოდ განუსვენოს სულსა მიცვალებულისასა სასუფეველსა შინა.

ა. ნ—ლი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

როგორც მკითხველებსაც მოეხსენებათ, ტფილისში არსდება ახალი სასულიერო გაზეთი—„სასულიერო მოამბე.“ ეს გაზეთი გამოსვლას დაიწყებს მომავალ წლის მარტის თვიდგან და, რაღა თქმა უნდა, სასურველი სტუმარი იქნება ყველა ჩვენის ქვეყნის კეთილდღეობის მოსურნესი და მოწაფისათვის. აქამდე სულ ორადორი სასულიერო გაზეთი გვქონდა: „სასულიერო მახარობელი“, რომელიც დეკანოზ ხელიძის რედაქტორობითა და გამომცემლობით იბეჭდებოდა მესამოცე წლებში, და გაზ. „მწყემსი,“ რომლის რედაქტორ-გამომცემლადაც დეკანოზი ღამბაშიძეა. პირველს გაზეთზედ ეხლა მაგდენი არა ითქმის-რა, ეს გაზეთი თუ სამაგალითოდ არ ჩაითვლება, ის მაინც ითქმის, რომ აწ არსებულს „მწემსზედ“ გაცილებით უკეთესი იყო, სამღვდელოების ყოფა-მდგომარეობას იშვიათად შეეხებოდა ხოლმე, მაგრამ რის გამოც ხმას იღებდა, სინიდისს არასოდეს ჰღალატობდა და პირადობის გზასა და კვალს ყოველთვის განზედ გაურბოდა. გაზ. „მწყემსისა“ რაღა ითქმის? იმის გამოისობით ჩვენს გაზეთში არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი და ყველამ კარგად იცის, რა აზრისანიცა ვართ ამ გაზეთის შესახებ. ვგონებთ უფრო საყურადღებო იქნება, რომ ამ ხელად გაზ. „Нов. Обоз.“-ს აზრი მოვიყვანოთ გაზ. „მწყემსის“ შესახებ. აი ზემოხსენებული გაზეთი რასა სწერს თავისს გუშინდელს ნომერში: გაზ. „მწყემსი“.

„ყოველთვის მხარს უჭერს იმას, რის გამოც ლაპარაკი სასულიერო გაზეთისათვის საკადრებელი და ყოვლად საჭირო იყო. აი პროგრამა ამ გაზეთისა: რა წერილიც შემთხვევით ჩაუვარდებათ ხელში, ყველაფერსა ჰბეჭდავენ; ოფიციალური ცნობები სულ არ მოიძებნებოდა ამ გაზეთში. ამას ვინა სჩივის, უბრალო ცნობებიც-კი არ არის ამიერ-კავკასიის ერთად-ერთის სასულიერო სემინარიის შესახებ; ესე პე უყურადღებოდ ჰქონდა დატოვებული „ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოება“, „ძმობა წმ. ანდრია პირველ წოდებულის სახელობაზედ დაარსებული სემინარიის ღარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის“, „დედათა საეპარქიო სასწავლებელი“ და სხ. და სხ. ეს გაზეთი ყოველთვის თავის ქებაშია, აქებ-ადიდებს აგრეთვე თავის რედაქტორსაც ყოველ შემთხვევასა, თუ არა შემთხვევაზედ; სმაკრინტს არა სძრავს იმის შესახებ, რაც დღიურს კაისა და კარამს შეადგენს და მეტის-მეტად პრტყელ პრტყელი ლაპარაკი უყვარს ისეთს „საკითხთა“ გამოისობით, რომელნიც ერთს კვერცხის ნაჭუჭად არა ჰღირს. ყოველ ამას ისიც რომ დავუმატოთ, რომ კილო ამ გაზეთის წერისა, მკვახე-კი არა, რაღაც უზრდელია, ან, უკეთ, ვსთქვათ, უფრო არა-წმინდაა, ისეთი კილოა, რომელიც სულ არ შეჰფერის ამისთანა გაზეთს, და ადვილად წარმოიდგენთ მთელს სურათს «მწყემსისას».

საყურადღებოა ეხლა რაღას იტყვის ბ-ნი ღამბაშიძე, რედაქტორი გაზ. „მწყემსისა“, და იმისი რედაქცია? იქნება აქაც მოსყიდულნი იყვნენ, ან შეთქმულნი იმის წინააღმდეგ?!.

## რუსეთი

ამ ათის წლის წინად რუსეთში ლაპარაკი დაიწყეს პირნახულების დაზღვევების შესახებ, მაგრამ მალევე მიჩუმდნენ, მოუხერხებლად სცნეს ეს საქმე, რადგან არავითარიმე სასტატისტიკო ცნობა არა ჰქონდათ ხელში, თუ სად რამდენი და რა გვარი პირნახული მოდის, რანაირი მოსავალი უნდა ჩაითვალოს საშუალო მოსავლად და სხვ. ეხლა რუსეთის მწერლობა ხელახლად დაუბრუნდა ამ საგანს და ამბობს, თუმცა წინად არ შეიძლებოდა, მაგრამ ეხლა-კი შესაძლო და მოსახერხებელია, რომ პირნახულების დაზღვევება შემოიღონ. თავისს იმედს ამ საქმის მოხერხებისას იმაზე ამყარებენ, რომ ბ-ნმა გრასმა სტატისტიკო ცნობები შეჰკრიბა შავის პურის მოსავალ-მოუსავლობისა რუსეთის იმპერიის სხვა-და-სხვა ადგილში და გამოიკვლია, სად როგორი საშუალო მოსავალია ამ პირნახულისა, რომ მხოლოდ ეს საშუალო მოსავალი დაზღვეულ იქნეს ხოლმე. სადაზღვევო გარდასახდელი დღიურზე 2 შაურიდგან—2 აბაზამდე უნდა იყოს გრასის აზრით და ამ ნაირის გარდასახადით შეიძლება იმოდენა თანხა შესდგეს, რომ მოუსავლობის დროს საშუალო მოსავლის საფასური მიეცეს დაზარალებულს მხვნელ-მთესველს, გლეხი იქნება იგი თუ დიდი მემამულე. გრასს ბევრი სხვა საბუთიც მოჰყავს და ამტკიცებს, არამც თუ შეიძლება ამ საქმის მოხერხება, არამედ უთუოდ უნდა შემოღებულ იქმნას, რადგან დიდს სარგებლობას მოუტანს ჩვენს მხვნელ-მთესველებსაო. თუ გლეხკაცს ერთს წელიწადს მოსავალი მოუცდა, სამს-ოთხს წელიწადს ძლივსღა გაიმაგრებს ზრუნვსა და ამ დროს რომ საშუალო მოსავლის საფასური მიიღოს საიდგანმე, მაშინ ამ გვარი გაჭირვება და შეწუხება თავიდგან ასცილდება. გრასის მიხედვით, ამბობენ გაზეთები, სხვებიც სხვა პირნახულის სასტატისტიკო ცნობებს შეჰკრებენ, საშუალო მოსავალს გამოიანგარიშებენ და ამ ნაირად შეიძლება გლეხმა მთელის წლის მოსავალი—ყოველ გვარი პირნახული დააზღვევინოს.

ევროპის სახელმწიფოებში არც ერთგან არ არის შემოღებული პირნახულის დაზღვევება, მაგრამ გრასისა და სხვების აზრით, ამ გარემოებას ყურადღება არ უნდა მიექცეს და იმათის მაგალითით არ უნდა იხელმძღვანელოს რუსეთმა და აი რატომ. ევროპაში ხვნა-თესვა უფრო დიდს წარმატებაშია, ვიდრე რუსეთში, იქ მეტი ღონისძიება აქვთ, რომ მიწას უკეთესად მოუარონ და შეიმუშაონ და ამიტომ ან ძნელად მოსცდება მოსავალი და თუ მოსცდება ყველგან ერთბაშად მოსცდება, რადგან პატარა ქვეყნებია და არა ერთს რომელსამე ადგილს. რუსეთში ასე არ არის. ამ სახელმწიფოს გაცილებით უფრო დიდი ალაგი უჭირია და ერთგან რომ მოსავალი სრულიად არ არის რომელსამე წელს, სხვა ადგილსას მშვენიერი მოსავალია. ამიტომ აქ მოსახერხებელია და შესაძლო, რომ ერთის მხრის მოუსავლობის ზარალი მეორე მოსავლიან ადგილის სადასაზღვევო გადასახადმა დაჰფაროსო. მეორე ამ გვარ საბუთად შემდეგი გარემოებაც მიაჩნდა გრასს: ევროპაში პირნახულის მოსავალი რომ მოსცდეს, მხვნელ-მთესველს ძლიერ ვერ შააწუხებს და მატერიალურად ვერ დააქვეითებს, გლეხკაცს რადგან ხვნა თესვას გარდა ერთსა და იმავე დროს სხვა ხელობასაც მისდევს და იქიდგანაც აქვს შემოსავალი, რუსეთში-კი გლეხკაცობას მომეტებულ ნაწილად მხოლოდ ერთი სალსარი აქვს საცხოვრებლად, ე. ი. მარტო ხვნა-თესვა, ანუ წლიური პირნახულის მოსავალიო.

## წვრილი ამბები

გამოჩენილი ინგლისელი არტისტი ქალი მისს ლანგტარი ამ დღეებში ლონდონის ერთს სასამართლოში იყო დაბარებული იმაზე შეტანილის საჩივრის გამო. ამ საჩივრის ამბავი იმითია საყურადღებო, რომ ზოგიერთს დაფარულს მხარეს უთვალისწინებს კაცს სათეატრო პიესების წერისას ეხლანდელს დროში. აი საჩივარი რაზედ ასტყდა. ამ ერთის წლის წინად, როცა ლანგტარი პარიჟში იყო, ბორტისა და სხვა ცნობილ თერძებისაგან მშვენიერი ძვირფასი ტანისამოსი იყიდა. ამ ტანისამოსით სცენაზე უნდოდა გამოსულიყო, ხალხს სჩვენებოდა, მაგრამ პიესა ისეთი არა იყო-რა, რომ უმთავრესის როლის აღმასრულებელს არტისტ ქალს ეს ტანისამოსი დასჭირებოდა სასცენოდ. ლანგტარიმ ბევრი არ იფიქრა, აიღო და მაშინვე დეპეშა მისწერა დრამატურგს მუჩანენს, მოდი, მნახე, საჭირო საქმე მაქვსო. დრამატურგი რომ მოვიდა, აჩვენა თავისი ახალი ნაყიდი ტანისამოსი და სთხოვა, პიესა დამიწერე, რომ უმთავრესი როლი მე შევასრულო ამ ტანისამოსითაო. ბუჩანენმა აღუთქვა პიესის დაწერა და შრომის ფასსაც გაურიგდა: 150 გირვანქა სტერლინგი მაშინვე მიიღო წინდა წინვე, ამდენიც, როცა პიესას დასწერდა, მაშინ უნდა მიეღო და შემდეგ კიდევ თითო წარმოდგენაზე 50 გირვანქა სტერლინგი ექვსის კვირის განმავლობაში. პირობის წერილი იქვე დასწერეს. ამ წინაზე უკვე მოუტანა ბუჩანენმა ხელნაწერი პიესა „Lady Gladis“, მაგრამ დანარჩენი ხვედრი ფული-კი ვეღარ მიიღო: ლანგტარიმ პიესა დაუწუნა: ეგ ისე სუსტია, რომ არც შენს კალამს ეკადრება და არც იმად ჰღირს, რომ უმთავრესი როლი მე შევასრულოვო. დრამატურგმა სასამართლოს მიჰმართა და 2,000 გირვანქა სტერლინგზე იჩივლა. ლანგტარიმაც იმავე სასამართლოში იჩივლა, მე-კი არ უნდა მივცე ფული, მაგან უნდა დამიბრუნოს 150 გირვანქა სტერლინგიო. საქმის გარჩევის დღეს სასამართლოს სათეატრო ხელოვნის მცოდნე კაცები მოიწვია ბუჩანენის პიესის დასაფასებლად. პიესა მართლა სუსტად იცნეს და სასამართლომ გადასწყვიტა, რაც მიუღია აქტორს, იმაზე მეტი აღარ ეკუთვნისო.

— ყველაზე დიდი სამზარეულო მთელს დედამიწის ზურგზე პარიჟში „ბონმარშე“-ს მაღაზიას აქვს. ამ სამზარეულოში ყოველ დღე ოთხი ათასის კაცისთვის მზადდება სადილი, საუზმე და ვახშ. თითო ისეთი დიდი ტაფა აქვთ, რომ ზედ ერთად 3000 კატლეტი შეიძლება შეიწვას, ერბო-კვერცხი-კი 7,800 კვერცხისა. ყავის სადუღი ქვაბი ორთქლმავალის ქვაბსა ჰგავს. მზარეული 60-ია და 100-ც თანაშემწე ჰყავთ.

— ფრანკფურტელ მკურნალ ნეფვილლის გამოანგარიშებით, სხვა-და სხვა ხელობის კაცები საშუალოდ შემდეგს ხანსა სცოცხლობენ; მასწავლებლები, მებაღეები, ყასაბები და პაჭრები—56 წელს, იურისტები და მეაფინანსეები—54, მკურნალები—52, მებულკეები—51, ხარაზები—47 წ. მჭედლები—46 წ. თერძები—45, ქვის მთლელები და სტამბაში მომუშავენი—40 წ. მასწავლებლები და მწერლები უფრო მეტსა სძლებენ. განკვნებულ მეცნიერების მიმდევარნი—მათემატიკოსები, ფილოსოფოსები, ღვთის მეტყველები საშუალოდ 71 წელს სცოცხლობენ; რომანების მწერლები და პო-

---

მეფეს ომითა და მით ეფარებოდა დანარჩენს ჯარს. მაგრამ აჰა, ცხენი მოუკლეს მეფეს და დააქვეითეს. გალომებული, შეუმდრკალი ხმალ-ამოწვდილი მეფე მოსდევს ჯარს დაქვეითებული, თანდათან უკანა რჩება, ილღება, მუხლთ ეკვეთება. ეს-ეს არის მტრის ხელში უნდა ჩავარდეს. ოსმალ-სპარს-ლეკების პასუხის გამცემი ტყვედ უნდა დარჩეს ეგლაც ჯაბანს, უძლურს ხანსა და „წუნკალ“ ლეკებსა. რამდენიმე მტარვალთაგანი ქორიეით უნდათ დაეცნენ გვირგვინოსანსა, მაგრამ ამ დროს, „თითქოს ციით ჩამოგზავნილია“ მეფის წინ გაჩნდება „დათუკი“ ქევშპირიშვილი, ჩამოფრინდება ცხენიდგან და მიართმევს მეფეს. ერეკლე გადარჩენილია! მაგრამ თვით „დათუკი“ უკანა რჩება, დაქვეითებული, მტრის ანაბარად.

ერეკლე შურდულივით წამოვა და გამოუძღვება ჯარს ალაზნისაკენ, მტერი უკან მოსდევს კაფვითა და ხოცვით, განუწყვეტლივ იღვრება წმინდა სისხლი წმინდის ერისა. ახლოა კახეთიც და გადარჩენა. აი, ალაზანიც! მაგრამ რა მრისხანე, ადიდებული, აღელვებულია! ეს ამოდენა გამოქცეული მხედრობა, ცხენოსანი თუ ფეხოსანი დამფრთხალ ფარასავით შეგ ჩაცვივდება განძვინვებულს ღელვაში და ინთქმებიან, იხოცებიან. ერთმანეთს ეპიდებიან, ერთმანეთს არჩობენ. მკვდრებით აივსო ალაზანი, ჯოჯოხეთია!

აი ამ ჯოჯოხეთის შუა ღელვაში მიცურავს დათუკისეული მერანიც, ზედ უზის რისხვა ოსმალ-ლეკ-ყიზილბაშთა და მხნედ მიაპობს მკერდით ზვირთებს, მაგრამ კვლავ ახალი უბედურება ჩნდება: ცურვით დაღლილი მხედრები, ძლივს ცოცხლები გადასარჩენად მეფის ცხენს ეპიდებიან, თვით მეფეს ეპოტინებიან. იღლება, იღუპება მერანი. ეს-ეს არის ღელვამ უნდა შთანთქას შეუპოვარი მისი მხედარი—„პატარა კახი“. ამ დროს მხნედ მისცურდება ერეკლეს ცხენთან პაპა ბებურიშვილი, დაულალავი მცურავი; მოაშორებს წყალ-წაღებულთ ერეკლეს ცხენს, თან მისდევს დაღლილს მერანს და მშვიდობით გაიყვანს მეფეს გაღმა. ერთი განსაცდელი აქ დაუხვდა მეფეს: ნაპირი ალაზნისა ღრმა და ფლატოიანი აღმოჩნდება, ძალა-გამოლეული ცხენი ფეხს ვერ მოიკიდებს და იჩრობა, ბებურიშვილი შველის დაქვეითებულს მეფესა და უნდა შორით მოატაროს. ამ დროს გაჩნდება ბოსტაშვილი მაჩხანელი და სხვა ცხენს მიართმევს მეფეს. ასე გადურჩება მოულოდნელს მარცხსა ოც-და-ათის წლის ვაჟკაცი—მეფე, რომელმაც შემდეგ ამისაცა მოჰფინა დიდება უძლეველობისა და შუქი განათლებისა თავისს პატარა სამეფოს და ერთს მუჭას, მაგრამ ანდამატივით მტკიცეს, ღვთიანს და ზრდილს ერსა.

უმთავრესი გმირი ამ სახელოვანის საქმისა, დათუკი ქევპირიშვილი, რაღაც მანქანებით, გადურჩა მტერს, ახალ ჯვარ დაწერილმა მზეთ-უნახავმა, პატარძალ-დედოფალმა დარეჯან დადიანის ასულმა მეფურად დაასაჩუქრა მეფისთვის თავ-დადებული დათუკი ზვარ-ვენახით, მიწა-წყალ-წისქვილით, კახეთში, სოფელს მუკუზანს. ხალხმაც დააგვირგვინა „დათუკის“ სახელი საუკუნო ხსოვნით. ეხლაც გაიგონებთ ქართლ-კახეთში ხალხისაგან გამოთქმულსა და მისს გულშივე დღემდინ დამარხულს „დათუკის ლექსს“:

ერეკლე ჩვენმა ბატონმა
ქიზიყს შეჰყარა ჯარია,
ალაზან გადო ჯიშიში,
ზედ გადის ჩვენი ჯარია.
პატარა—ნასახჩავში
შიგ დამალულა ჯარია.
მიველით გამოგვექცევს,
როგორც ნადირმა ცხვარია;
ასე გაგვხადეს თათრებმა,
როგორც ნიყვა მხალია...
ბატონსა ცხენი მოუკლეს,
თავში ჰკრეს ზარბაზანია,
ბატონი ქვეითი მორბის,
ხელში უჭირავს ხმალია.
ქევშპარიშვილი დათუკი
ციით ჩამოსული ჯვარია:
ბატონსა ცხენი მოართო,
ქვეშ უქრის ნიავ-ქარია;
ბატონი ცხენზედ შებმანდა,
ქალაქს ამოჰყო თავია.
„დათუკი, ქალაქს ჩამოდი,
იქ ნახე საჩუქარია!..“
დათუკი ქალაქ ჩავიდა,
ეხვევა დედოფალია:
„შენი ჭირიმე დათუკი,
შენ მომირჩინე ქმარია!
„წადი და ნახე ვენახი,
როგორც რომ ვენახარია,
„შიგ არის ქვითკირის წყარო,
წისქვილი საკუთარია“.

ეგრი

ტები—70, 9 წ. ისტორიკოსები, ფილოლოგები და არხეოლოგები—70, 2 წ., საპოლიტიკო მეცნიერების მიმდევარნი და ფილანთროპები—68,18, ფიზიკისა, ქიმიისა, ანატომიისა და ბუნების-მეტყველებისა—68, 7, მხატვრები, ხუროთ-მოძღვრები და მუსიკები—67, 6 და სხვ.

# დეპეშა

29 ნოემბერი

პეტერბურგი. „Новое Время“-ს გაუგონია, რომ აპირობენ შეადგინონ თანხა, რომლის შემწეობითაც შეიძლებოდეს სყიდვა სამეურნეო იარაღისა და მანქანებისა. იარაღი და მანქანები უნდა იყვნენ მომზადებული უსათუოდ რუსეთის მექარხნეთაგან. სყიდვა მათი შეიძლება იმ პირობით, თუ მთავრობისგან დანიშნული მოხელენი მოიწონებენ მათ სიკეთეს.

„С.- Петербургскія Вѣдомости“ იუწყება, რომ მალე სახელმწიფო საბჭოში შეიტანენ განსახილველად პროექტს უცხოელების დასახლების შეხახებ რუსეთში. აპირობენ დღეიდგან სრულიად აუკრძალონ დასახლება რუსეთში უცხოელებს. მისცემენ ნებას დასახლებისას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, იმ პირობით-კი, რომ უსათუოდ მიიღონ უცხოელებმა რუსეთის ქვეშევრდომობა. იმ უცხოელთა, რომელთა შეიძინეს უძრავი ქონება, უსათუოდ უნდა მიიღონ რუსეთის ქვეშევრდომობა სამის წლის განმავლობაში.

ბერნი. შვეიცარიის კავშირმა მიიღო კანონი, რომლის მეათე მუხლი ამბობს, რომ პოლიტიკური დამნაშავენი არ უნდა გაიცნენ. მხოლოდ მაშინ გასცემენ პოლიტიკურ დამნაშავეს, თუ მისგან ჩადენილს საქციელს საზოგადო დანაშაულის ხასიათი ექმნება, თუნდა თვით დამნაშავემ აღიაროს კიდეც, რომ მისგან ჩადენილს დანაშაულს პოლიტიკური ხასიათი აქვსო. შვეიცარიის კავშირის საბჭო თვითონ გამოიკვლევს, რა ხასიათისაა დანაშაული, პოლიტიკური, თუ ჩვეულებრივი. რაკილა საბჭო გადასწყვეტს, გავცეთ პოლიტიკური დამნაშავეო, პირობას ჩამოართმევს იმ სახელმწიფოს, რომელსაც გარდასცემს დამნაშავეს, უფრო სასტიკათ არ დასაჯოთ, მარტო იმის თვის რომ დამნაშავეს სახეში ჰქონდა პოლიტიკური საგანი.

პეტერბურგის ბირჟა, 27 ნოემბერი.

| | მყიდველნი ხთ. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 6 88 | 6 90 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | 137³/₄ | 138¹/₄ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — „ | — „ | 1 10 |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 236 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 217¹/₂ |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 214¹/₂ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდაი და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს კადაზე გემები.

# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

## ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

## პატარა კახი

ისტორიული ხუთ მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:

ქართული-რუსული

## ლექსიკონი

დ. ჩუბინაშვილისა

ფასი 2 მან.

რული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| სამი ისტორიული ხრონიკა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ . . . | 1 | „ |
| Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по малой Азіи А. Хаханова | „ | 50 |
| ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა . . . . . | „ | 60 |
| ოქროს ხოხობი, დ. დათოშვილისა . . . . . | „ | 5 |
| არჩილიანი, გამოცემ. მაჩაბლის—ღიმელისა . . . | „ | 75 |
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . . | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა . | „ | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . . | „ | 60 |
| ძველის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . | „ | 25 |
| ბორკილი, დრამა ოთხს მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. ახნაზაროვისა . . . . | „ | 40 |
| იავნანამ რაჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა . . . . . . | „ | 10 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . . | „ | 80 |
| გრამატიკა ქორდანიასი . | „ | 55 |

## კბილი აღარავის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთ გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ

და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.



ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ვნახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი ამზადებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Séguin, Bordeaux, rue Croix de Ségucy.

(208—63)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით . . . | 10 მ. — კ. | 6 | თთვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 | „ . . . | 9 „ 50 „ | 5 | „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 | „ . . . | 8 „ 75 „ | 4 | „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 | „ . . . | 8 „ — „ | 3 | „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 | „ . . . | 7 „ 25 „ | 2 | „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 | „ . . . | 6 „ 50 „ | 1 | „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქცია'ს ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

## დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი **ექვსი შაური.**

ვინც ერთბაშად **ნაღდს ფულზე** იყიდის **ოც-და-ათს** ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება **ორი შაური.** ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს **„დედა ენას“** წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ **რვა კაპეიკი.**

**„ბუნების კარი“**, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი **თხუთმეტი შაური.**

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის **ათს** ცალს, წიგნი დაეთმობა **თოთხმეტ შაურად**, ვინც ოცსა—**ცამეტ შაურად** და ვინც ოც-და-ათს—**სამ აბაზად** ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ **სამი შაური.**

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, **გასაგზავნი ხარჯი** თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

## გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და „ქართულ წიგნების გამომცემ ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნაკი:

ქუთაისის ბანკის საქმე.

წერილები

ილია ჭავჭავაძისა.

გამოცემა ქუთათელისა.

ფასი ერთი შაური.

Доз. цен. Тифлисъ, 29-го Ноября 1890 г. Типо-Литографія Б. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე